

კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღმატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ხედვით, საქართველომ უნდა შეამციროს იმპორტდამოკიდებულება და მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი საექსპორტო შესაძლებლობა. ამისთვის საჭიროა ეკონომიკის დარგები განვავითაროთ კომპლექსურად (კლასტერულად). წარმოება, სოფლის მეურნეობა, სერვისის ეკონომიკა, ტურიზმი, ცოდნის ეკონომიკა და სხვა სფეროები უნდა განვითარდეს ეტაპობრივად, ერთმანეთთან თანხვედრაში.

ჩვენი დეტალურად გაწერილი გეგმით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აშენდება 9 სხვადასხვა პროფილის ინდუსტრიული პარკი:

1. სამშენებლო-ინდუსტრიული პარკი (ქვემო ქართლი, რუსთავი) - ერთ სივრცეში აერთიანებს ყველა სამშენებლო მასალისა და ავეჯის მწარმოებელ ქართულ კომპანიას.
2. ტექსტილისა და ტანსაცმლის ინდუსტრიული პარკი (აჭარა, ბათუმი).
3. სამომხმარებლო ტექნიკის ინდუსტრიული პარკი (შიდა ქართლი, გორი).
4. სატრანსპორტო საშუალებების ინდუსტრიული პარკი (იმერეთი, ქუთაისი).
5. ავეჯის ინდუსტრიული პარკი (იმერეთი, ქუთაისი).
6. ფარმა-ინდუსტრიული პარკი (მცხეთა-მთიანეთი, წეროვანი) - მის ტერიტორიაზე იქნება ყველა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კვლევითი ცენტრები და სასწავლებლები.
7. მაღალტექნოლოგიური HI TECH პარკი (კახეთი).
8. განახლებადი ენერჯის ინდუსტრიული პარკი (სამცხე-ჯავახეთი) - მზის პანელები, ელ. მანქანის ელემენტები და ა.შ.
9. სოფლის მეურნეობისა და სხვა საწარმოო ტექნიკის ინდუსტრიული პარკი (სამეგრელო, ზუგდიდი).

პირველი 5 წლის მიზანია ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში! პირველი წელი - ინვესტიციების მოზიდვა, ტერიტორიების გამოყოფა, ხელშეკრულებების გაფორმება; მე-2 წელი - ინფრასტრუქტურის მოწყობა; მე-3 წელი - საწარმოების ამუშავება, პროდუქციის გამოშვება; მე-4 წელი - მასშტაბირება, იმპორტის ჩანაცვლება; მე-5 წელი - ექსპორტზე გასვლა.

ზემოთ ხსენებული პროექტების განხორციელების შემთხვევაში, შემცირდება იმპორტდამოკიდებულება და გაიზრდება ექსპორტის მოცულობა. შედეგად, გამყარდება ლარი, შეიქმნება პროდუქტიული სამუშაო ადგილები, შემცირდება სიღარიბე.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, „სტრატეგია აღმაშენებელს“ შემუშავებული აქვს დეტალური გეგმა ინდუსტრიული პარკების, აგროკლასტერების, ტურიზმის და სხვ. მიმართულებით (იხ. შესაბამისი თავები). ჩვენი ინიციატივებისა და პროექტების განხორციელების შემთხვევაში, უკვე პირველ წელს შესაძლებელია 4 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში. გარდა ეკონომიკური პროექტებისა და ე.წ. მეგაპროექტებისა (იხ. ქვემოთ), საინვესტიციო კლიმატს საგრძნობლად გააუმჯობესებს ჩვენ მიერ დაგეგმილი სასამართლო სისტემისა და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა. ასევე, ინვესტიციების მოზიდვისა და საქართველოს, როგორც მიზიდველი საინვესტიციო ქვეყნის რეკლამირებაში განსაკუთრებული როლი დაეკისრებათ საქართველოს საელჩოებსა და წარმომადგენლობებს საზღვარგარეთ.

3. გეგმავეთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ მიზანია შევქმნათ ეკოსისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს საკუთარი შრომით მიაღწიოს ღირსეული ცხოვრების სტანდარტს და ამასთანავე, ხელი შევეწყობთ ნდობის ამაღლებას ქართული პროდუქციისადმი როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე. შევქმნათ თვითკმარი სასურსათო უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც იმპორტირებულ პროდუქტზე არ იქნება დამოკიდებული. ჩვენი შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების ქართული მოდელი ითვალისწინებს შემდეგ ინიციატივებს:

1. კონკურენტული პროდუქტი და გარანტირებული ფასი - შეიქმნება სოფლის მეურნეობის მარკეტინგის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო და ადგილობრივი გასაღების ბაზრების მოძიებასა და მარკეტინგული კვლევების ჩატარებას. აუცილებლად მიგვაჩნია მარკეტინგული კვლევით გამოვლენილი კონკურენტული აგროპროდუქტების იდენტიფიცირება და მათი მასობრივი წარმოების ხელშეწყობის მიზნით ფერმერული მეურნეობების სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო აგროპროგრამებში ჩართვა. დაინერგება კონკურენტულ პროდუქტზე გარანტირებული ფასი ამერიკული მოდელის მიხედვით - „მოგების დაზღვევა“ – ფერმერული მეურნეობები, რომლებიც კონკურენტულ პროდუქციას ქმნიან, სახელმწიფოს მხრიდან მოგების დაზღვევის პროგრამით ისარგებლებენ. პროგრამა

ითვალისწინებს ფერმერული მეურნეობებისთვის გარანტირებული ფასის გადახდას იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალ ბაზარზე მათი წარმოებული პროდუქციის ფასი თვითღირებულებაზე ნაკლები იქნება და მწარმოებელი ზარალს განიცდის.

2. მიწის ბანკის ევროპული მოდელი - იუსტიციის სახლებში შეიქმნება „მიწის სასამართლო“ - მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების მიზნით. მიწის გაფორმებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას, სამოქალაქო სასამართლოს ნაცვლად, ადგილზე განიხილავს მიწის სასამართლო. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შექმნას მიწის ბანკი, რომლის მიზანაც მიწის წვრილი მფლობელებისგან საბაზრო ფასში შექმნილი ქონების კონსოლიდაციაა (გამსხვილება). შექმნილი და გამსხვილებული მიწა თვითღირებულებით ფერმერს გადაეცემა.
3. ინფრასტრუქტურა - „მინდვრიდან მომხმარებლამდე“ - მელიორაციის სისტემის კერძო კომპანიის მფლობელობაში გადაცემა ეფექტური ოპერირებისთვის და ერთიანი ლოგისტიკური ჯაჭვის აწყობა ისრაელისა და ნიდერლანდების გამოცდილების გათვალისწინებით.
4. მსოფლიოში ცნობილი ბრენდების საქართველოს ბაზარზე შემოყვანა (გადამმუშავებელი წარმოების განვითარება).

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ გუნდმა შეიმუშავა ტურიზმის განვითარების ქართული მოდელი, რომლის შედეგად 5 წელიწადში: ქვეყანაში შემოვა 25 მლნ ტურისტი, რომელთაგან სულ მცირე 10% იქნება მაღალგადახდისუნარიანი ტურისტი. ეს ნიშნავს 5 მლრდ დამატებით შემოსავალს ქვეყნისთვის და დაახლოებით 80 000-მდე სამუშაო ადგილს.

ტურისტების მისაღებად მოწესრიგდება/აშენდება განთავსების ობიექტები - სულ მცირე 180 ბრენდული და გამაჯანსაღებელი სასტუმრო-კომპლექსი რაიონებში და 3 000 გესტჰაუსი სოფლებში.

სახელმწიფო მხარს დაუჭერს და წახალისებს მცირე და საშუალო ბიზნესს იმისთვის, რომ საკუთარი სახლები აქციონ გესტჰაუსებად. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ ინვესტიციები ყველა რაიონში სულ მცირე ერთი ბრენდული სასტუმროს და აპარტოტელის გასახსნელად და ასამუშავებლად. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გამაჯანსაღებელი ტურიზმისა და კურორტების განვითარება. ოფიციალური მონაცემებით, გვაქვს 80 საკურორტო ადგილი და მათგან მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს. თუ საშუალოდ ერთი ტურისტი ხარჯავს 300 აშშ დოლარი, გამაჯანსაღებელი ტურიზმით ერთ ადამიანს მოაქვს დაახლოებით 2000 აშშ დოლარი. შესაბამისად, მაღალანაზღაურებადი ტურიზმის განვითარების პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენი გეგმით, ტურისტული ნაკადების მოსაზიდად სახელმწიფო უზრუნველყოფს და აწყობს 4 საერთაშორისო მაშტაბურ ღონისძიებას.

საქართველო - ოთხი სეზონის ქვეყანა.

1. საქართველო - ქვეყრის ღვინის სამშობლო;
2. ყველაზე მასშტაბური საახალწლო ღონისძიება;
3. ფოლკლორული ფესტივალი; ფესტივალის ფარგლებში საქართველო უმასპინძლებს მსოფლიო ხალხებს, ტომებს, ეთნოსებს.
4. ახალგაზრდული ფესტივალი - მუსიკა და ტექნოლოგიები (დეტალური აღწერა იხილეთ კულტურის ქვეთავში).

მნიშვნელოვანია საქმიანი ტურიზმის განვითარება. ამისთვის ქუთაისსა და ბათუმში ავაშენებთ ორ კონგრესჰოლს, რომლებიც უმასპინძლებს საქმიან და ბიზნესტურისტებს, გაიმართება საერთაშორისო სამიტები, კონფერენციები, შეხვედრები. ერთ წელიწადში მიიღებს დაახლოებით 500 ათას ბიზნესტურისტს, რაც ნიშნავს ქვეყანაში შემოსულ სულ მცირე 300 მილიონ დოლარს.

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშეღავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

ნებისმიერი საშეღავათო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და ყველანაირი ბიუროკრატიისგან თავისუფალი. აუცილებელია COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის მომენტალური სოციალური ზეგავლენის შეფასება და ყველაზე მეტად დაზარალებული მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა. ამისთვის საჭიროა შინამეურნეობათა შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე სამუშაო ძალის კვლევა. ეს საშუალებას მოგვცემს, რეალურ დროში მივიღოთ ინფორმაცია სიღარიბისა და უმუშევრობის ზრდისას მომხდარი ცვლილებების შესახებ ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების ჭრილში. მეორე მხრივ, საჭიროა ნებისმიერი სოციალური ტრანსფერის თუ შეღავათის ეფექტის გაზომვა, რაც სახელმწიფოს დაეხმარება ნებისმიერი სოციალური პროგრამის დიზაინში შესატანი საჭირო ცვლილებები განსაზღვროს.

გასათვალისწინებელია ნეგატიური გამოცდილება, როდესაც ათიათასობით ადამიანმა ვერ მიიღო კუთვნილი და დაპირებული 200- და 300-ლარიანი დახმარებები პანდემიის პერიოდში. იმისთვის, რომ ნებისმიერმა შეღავათმა სამიზნე ჯგუფებამდე მიაღწიოს, აუცილებელია ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა და დახმარების მისაღებად გასავლელი პროცედურების (ონლაინ, ფიზიკური და სხვ.) გამარტივება.

კიდევ ერთი საყურადღებო ასპექტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სისტემა გადაეწყო კოვიდ 19-ის საპასუხოდ, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებსა და მათ ოჯახებს ჰქონდეთ წვდომა ხარისხიან სერვისებზე. ბევრმა მშობელმა შეიძლება არ იცოდეს იმ შეღავათებისა და სამედიცინო თუ სოციალური სერვისების შესახებ, რომლებითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან კომუნიკაციის გაძლიერებასა და ეფექტურ საინფორმაციო კამპანიას გადაწყვეტი მნიშვნელოვან ენიჭება.

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

ჯანდაცვის მიმართულებით ინიციატივები იხილეთ ჯანდაცვის შესახებ თავში.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ზომების გამკაცრება/შეცვლასთან დაკავშირებით ვიმოქმედებთ კონკრეტულ დროში კონკრეტული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ. განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

კვლევების თანახმად, საქართველოს მასშტაბით პანდემიის პირობებში 80 000-მდე მოსწავლე დარჩა დისტანციური სწავლების მიღმა სწორედ ინტერნეტის არქონის გამო. გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიშის მიხედვით, 150 000 მოზარდი საქართველოში შიმშილის ზღვარზეა და ეს მონაცემები ყოველწლიურად იზრდება. ყოველი 10 ბავშვიდან ექვსს არ აქვს წვდომა საბავშვო წიგნებზე. ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ჩვენი მმართველობის პირობებში პრობლემის ეფექტიანად გადასაჭრელად განათლების სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და 2084 საჯარო სკოლის ადმინისტრაციებთან კოორდინაციით მყისიერად დავაზუსტებთ თითოეული რაიონის, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის სკოლის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერნეტისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად დავადგენთ ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რამდენ მოსწავლეს ან მასწავლებელს არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. 2013 წლიდან დღემდე 2.5-ჯერ გაზრდილი განათლების ნაერთი ბიუჯეტიდან შესაძლებელი გახდა 1.5 მლნ ლარის გამოყოფა სატელევიზიო პროექტ „ტელესკოლის“ ასამოქმედებლად, რომელიც მხოლოდ დამატებითი ინსტრუმენტია და არა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი ბავშვებისთვის. ამ თანხებით ჩვენ უზრუნველვყოფთ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სოციალურ პაკეტს მოსწავლეთათვის, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი და საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახებიდან.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ქვეყანაში დიდი ტურისტული ნაკადების მისაღებად, ასევე ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა. საქართველოში ჩამოსვლა უნდა იყოს მარტივი. ამიტომ, აუცილებელია ახალი პირდაპირი ავიარეისები და ხელმისაწვდომი ფრენები. პირდაპირი, ყოველდღიური ავიარეისების ორგანიზება დიდ ქალაქებთან, სადაც ფრენის დრო არ აღემატება 3 საათს. მაგალითად - ლვოვი, დნეპროპეტროვსკი, გდანსკი, კრაკოვი, ვროცლავი, პოზნანი, რიგა, ვილნიუსი და ა.შ.

[პოლიტიკა და ეკონომიკა](#)

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

„სტრატეგია აღმაშენებელი“ განიხილავს რამდენიმე ინიციატივას, რომლებსაც შესაძლებელია დასჭირდეს ცვლილებების ინიცირება კონსტიტუციაში. პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს და იგი თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპებს, თუმცა არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ხელისუფლების დაბალანსებისთვის. მით უმეტეს, რომ ყველა საზოგადოებრივი აზრის ბოლო პერიოდის გამოკითხვა ადასტურებს ხალხის ნებას, რომ პრეზიდენტი პირდაპირ უნდა აირჩიოს ამომრჩეველმა.

მეორე ცვლილება შეეხება უსაფრთხოების საბჭოს. კონსტიტუციაში შეტანილი ბოლო ცვლილებებით ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ამოქმედდება ერთდროულად ორი სათათბირო საბჭო: ერთი პრემიერთან არსებული და მეორე პრეზიდენტთან, რაც არ ეფუძნება არც დასავლეთის საუკეთესო პრაქტიკას და არ შეესაბამება თანამედროვე სახის უსაფრთხოების გამოწვევებს. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია როგორც მშვიდობიანობის, ისე საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს უნდა ხორციელდებოდეს ერთი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მეშვეობით.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელსაც დასჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება, ეხება სასამართლო სისტემის რეფორმირებას (აღწერა იხილეთ ქვემოთ შესაბამის თავში).

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

„სტრატეგია აღმაშენებელი“ არის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა სასამართლო სისტემის რეფორმის თაობაზე. სხვა პარტნიორ პარტიებთან ერთად ვთანხმდებით, რომ სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად და მისდამი ნდობის სწრაფად გაჩენის მიზნით, განვახორციელებთ შემდეგ რეფორმებს და დავისახავთ შემდეგ ამოცანებს:

1. ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება რეფორმის დაწყებიდან პირველი წლის ბოლოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე; შემდეგი ოთხი წლის მანძილზე - ყველა დანაშაულზე, რაც პატიმრობას ითვალისწინებს.
2. 2021 წლის ბოლომდე მოსამართლის არჩევითობის შემოღება პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას. სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულს, ნაფიც მსაჯულთან ერთად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში კი მოსარჩელეს, ექნება შესაძლებლობა აირჩიოს მისი საქმის განმხილველი მოსამართლე - დანიშნული თუ პირდაპირი წესით არჩეული მოსამართლე.
3. საკონსტიტუციო ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გაერთიანება.

4. უზენაეს და სააკველაციო ინსტანციებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან მოწვეული მოსამართლეების დანიშვნა ხანგრძლივი ვადით, რომლებიც ყველა შესაძლო კოლეჯის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ.
5. სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე, აშშ-ს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ პრეცედენტებად აღიარება.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი არსებითი, ძირითადი უფლებაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი აქვს. იგი შედგება უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული. სტრატეგია „აღმაშენებელი“ ყველაფერს გააკეთებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად, ასევე გამოიყენებს ყველა ბერკეტს ამ მიმართულებით ნებისმიერი დანაშაულისა და გადაცდომის გამოსაძიებლად. გარდა ამისა, ჩვენი გეგმის მიხედვით, სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების შემდეგ (დეპოლიტიზება, დეცენტრალიზაცია, სუს-ის რეორგანიზაცია და სხვ.) გამორიცხული იქნება პოლიტიკური მიზნებისთვის პირის პირადი ცხოვრების ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროება/გამოყენება.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

„სტრატეგია აღმაშენებელი“ უპირობოდ ემხრობა სრული პროპორციული საარჩევნო სისტემის არსებობას. „სტრატეგია აღმაშენებელი“ იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა; ასევე, საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე.

პროპორციული საარჩევნო სისტემა აყალიბებს მრავალპარტიულ სისტემას, პარლამენტში უფრო მეტი პარტიაა წარმოდგენილი, ვიდრე მაჟორიტარულ და შერეულ სისტემებში და, შესაბამისად, ამომრჩევლის ნებაც უფრო სრულადაა გამოხატული. პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში მთავრობა ძირითადად კოალიციურია. გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, ქალთა წარმომადგენლობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მაჟორიტარული ან შერეული საარჩევნო სისტემა გამოიყენება.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

ჩვენი განათლების პოლიტიკა ემყარება სამ ძირითად პრინციპს. ესენია: დეცენტრალიზაცია, დეპოლიტიზაცია, მოდერნიზაცია. კონკრეტული ინიციატივებია:

პირდაპირი წესით 4 წლის ვადით არჩეული სახელმწიფო ბადისა და სკოლის დირექტორები, რომლებსაც ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე დაწესებულების აღსაზრდელთა და მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები.

პირდაპირი წესით არჩეული სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები, რომლებსაც ირჩევენ პროფესორ-მასწავლებლები პირდაპირი არჩევნების გზით 4 წლის ვადით. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

არჩეული სკოლის დირექტორის ხელფასი - 3000 ლარი, საბავშვო ბაღის დირექტორის ხელფასი - 1500 ლარი; ანაზღაურება შესაბამისობაში უნდა იყოს გაწეულ შრომასთან. მასწავლებლის მინიმალური ხელფასი სკოლაში - 1000 ლარი, ბაღში - 700 ლარი.

ვაუჩერის გათანაბრება საჯარო და კერძო სექტორში, როგორც სკოლაში, ისე ბაღებში. საჯაროდან კერძო სკოლაში/ბაღში გადასვლისას სასკოლო ვაუჩერი ზუსტად იმავე ოდენობით უნდა მიეცეს მოსწავლეს, რაც სახელმწიფომ მას გამოუყო.

თანამშრომლობითი სამიტი 5000 მასწავლებლისთვის წელიწადში ორჯერ - კოლეგებისთვის საუკეთესო პრაქტიკისა და მიღწევების გაზიარების შესაძლებლობა არაფორმალურ გარემოში.

10 000 გრანტი ყოველწლიურად მომავლის პროფესიების დაუფლებისთვის - IT, მარკეტინგი, დიზაინი, ციფრული ტექნოლოგიები, წარმოება, ტურიზმი და ა.შ. კერძო სექტორთან თანამშრომლობით საქართველოს 10 რეგიონში ჩამოყალიბდება პროფესიული განვითარების კურსები. თითოეულ მოქალაქეს მე-10 კლასიდან გაუჩნდება შესაძლებლობა ისწავლოს, განვითარდეს და დასაქმდეს სასურველი პროფესიით, მაღალანაზღაურებად პოზიციაზე ქვეყნიდან გაუსვლელად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია - TOP 100 უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შექმნილ პროგრამებზე ჩარიცხულ თითოეულ სტუდენტზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა სახელმწიფო გრანტზე (2250 ლარი) + 30%-იანი დანამატი.

ყოველწლიურად, საუკეთესო შედეგების მქონე 500 მასწავლებლის საკვალიფიკაციო სტაჟირება უცხოეთში - ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

სამეცნიერო კვლევების წახალისება, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ და სტრატეგიულ სფეროებში საუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრების ბაზაზე. საქართველოს კულტურისა და ისტორიის კვლევითი ცენტრის დაარსება.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ დაგეგმილი პროექტისა და ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში (ინდუსტრიული პარკები, აგროკლასტერები, ტურიზმი, მეგაპროექტები და ა.შ. იხ.

შესაბამის თავებში), საქართველო გახდება მწარმოებელი ქვეყანა, შემცირდება იმპორტდამოკიდებულება და გაიზრდება ექსპორტის მოცულობა. შედეგად, გამყარდება ლარი, შეიქმნება პროდუქტიული სამუშაო ადგილები, შემცირდება სიღარიბე სოფლად და ქალაქად, და ქვეყანა შეიძენს ახალ გლობალურ მნიშვნელობას. ჯამურად, პირველ წლებში მოზიდული იქნება სულ მცირე 4 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დამატებით 7-8%-ით გაიზრდება და მიაღწევს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს. შეიქმნება დამატებით 300 ათასამდე სამუშაო ადგილი (ინდუსტრია, აგროსექტორი, ტურიზმი და სხვ.). ყოველწლიურად ქართული ოჯახები დამატებით მიიღებენ მილიარდამდე ლარის შემოსავალს, მათ შორის მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით. ლარის კურსი ჩამოსცდება 2-ლარიან ნიშნულს აშშ დოლართან მიმართებით.

7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ხედვით აუცილებელია მთავრობისა და ბიუროკრატის შემცირება, რათა საბიუჯეტო სახსრები უფრო ეფექტურად და მიზნობრივად იქნას განკარგული. არაუგვიანეს 2024 წლის ბოლომდე, მთავრობის ზომა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს. გარდა ამისა, ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან 100 დღის ვადაში უნდა შემუშავდეს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პრევენციის მექანიზმები.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

ჩვენი ხედვით, სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-თან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 40%-იან ნიშნულს. ასევე, საბიუჯეტო დეფიციტის მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს მშპ-თან მიმართებით.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნა; ჩვენი ხედვით, საჯარო სამსახურის საქმიანობის დიდი ნაწილი გადავა პროექტული მართვის პრინციპებზე. პროექტული მართვა საშუალებას იძლევა, რომ ნებისმიერი დავალება/პროექტი იყოს შედეგზე ორიენტირებული, კონკრეტული ინდიკატორებითა და პასუხისმგებელი პირებით. ამით შესაძლებელია დროის უფრო ეფექტურად გამოყენება და, გარდა ამისა, პროექტში ჩართულ პასუხისმგებელ პირებს უზენს მეტ მოტივაციას დავალების წარმატებით შესასრულებლად. ამასთანავე, პროექტული მართვის პრინციპები მაქსიმალურად გამორიცხავს უფლებამოსილებებისა და დავალებების გადაფარვას, ხელს უწყობს მოვალეობების გამიჯვნას, რაც იძლევა ადამიანური და სხვა რესურსების უფრო ეფექტურად და ხარჯთეფექტიანად განკარგვის საშუალებას.

[საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები](#)

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ „ჯანდაცვის ახალი ქართული მოდელის“ მიზანია შეიქმნას ინოვაციებსა და მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაქსიმალურად ხარჯთეფექტიანი ჯანდაცვის ქართული მოდელი, რომელიც პაციენტებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას შესთავაზებს. მოქალაქეებისთვის მიწოდებული სერვისების ხარისხი და ფინანსური ხელმისაწვდომობა იქნება ახალი მოდელის ძირითადი მახასიათებელი. ჯანდაცვის ახალი მოდელის ძირითადი ინიციატივებია:

1. ინიციატივა „ინდივიდუალური ჯანმრთელობის გეგმა საქართველოს ყველა მოქალაქეს“ - გულისხმობს, რომ თითოეულ მოქალაქეს ექნება პერსონალური ჯანდაცვის გეგმა დაწყებული დაბადებიდან (ან პროგრამაში ჩართვიდან). ეს საშუალებას მისცემს მას, ოჯახის ექიმის დახმარებით ჩაიტაროს ყველა სავალდებულო აცრა, გაიაროს საჭირო სამედიცინო პროცედურები (მათ შორის სიმსივნის სკრინინგი), ჰქონდეს წვდომა რეცეპტით დანიშნულ წამლებზე, დაგეგმოს ექიმთან ვიზიტი ან საჭირო პროცედურა მისთვის მისაღებ დროს და ადგილას.
2. ონკოლოგიური დაავადებების ყოვლისმომცველი მართვა და სრული ფინანსური დაფარვა ყველა ეტაპზე: პრევენცია, სკრინინგი, ადრეული დიაგნოსტიკა, მაღალი ხარისხის მკურნალობა, ზრუნვა და პალიატიური მოვლა.
3. ჯანდაცვის სისტემის სრული დიგიტალიზაცია - ჯანდაცვის ელექტრონული სისტემების სრული ინტეგრაცია ჯანდაცვის ყველა დონეზე, რაც გახდის სისტემას უფრო პერსონიფიცირებულს, ხარჯთეფექტიანს და ხელს შეუწყობს სანდო სტატისტიკის შექმნას.
4. „საქართველო - რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“. სამკურნალო კურორტების მოწესრიგებით, ინვესტიციის მოზიდვით, უსაფრთხოებისა და მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვით ჩვენ ვიზრუნებთ, რომ საქართველო წარმოჩნდეს მსოფლიო დონეზე როგორც სამედიცინო ტურისტული დანიშნულებისთვის მიმზიდველი ადგილი.
5. წამლის ფასის შემცირება სულ მცირე 30%-ით ფასების გამჭვირვალობის, ე.წ. რეფერენსფასებისა და ფასწარმოქმნის ევროპული სტანდარტების დანერგვით. ყურადღება მიექცევა პრიორიტეტული სფეროების (უწინარესად, ფარმაცევტული) დემონოპოლიზაციის პროცესს და ბაზარზე გამჭვირვალე, ჯანსაღი კონკურენციის დანერგვას. ფასების მოწესრიგების პარალელურად, სახელმწიფო დაიწყებს წამლის ხარისხზე ზრუნვას ახალი მოდულების დანერგვის გზით (CTD, track and trace და სხვ.).

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ სოციალური პოლიტიკის მიზანია, ჩვენს მოქალაქეებს შევუქმნათ სტაბილურობისა და დაცულობის განცდა. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით ეფუძნება თითოეული მოწყვლადი ჯგუფის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სოციალური მომსახურების სააგენტო გახდება ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული. საარსებო შემწეობას მიიღებს ყველა, ვისაც უსამართლოდ აქვს შეჩერებული ან შეწყვეტილი ეს დახმარება. გაიზრდება კვალიფიციური სოციალური მუშაკების რაოდენობა და გაუმჯობესდება მათი სამუშაო პირობები, რაც პირდაპირ აისახება მათი ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე.

საკვებზე საჭიროებით დაკმაყოფილება ყველა. კრიზისული სიტუაციის დროსაც არცერთი ადამიანი არ იმომშობილებს, რისთვისაც ამუშავდება კვების ბარათების სისტემა. მასში გაერთიანდება კვების ყველა ობიექტი და საკვები პროდუქტის სარეალიზაციო დაწესებულება.

სოციალური სოლიდარობის მენეჯერები ეყოლება ყველა ორგანიზაციას, კომპანიასა და მოქალაქეთა ჯგუფს, რომელთა საქმიანობასაც კოორდინაციას გაუწევს სოციალური მომსახურების სააგენტო სოციალური სოლიდარობის ფარგლებში და შესაძლებელი გახდება უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისა და მოხუცების პირობების გაუმჯობესება.

ჩვენ მიერ დანერგილი სოციალური შეღავათების სისტემა მუშაობის მოტივაციას აუმაღლებს ადამიანს და საბოლოო შედეგად გვეყოლება უფრო ძლიერი ოჯახები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას და შეამცირებს სოციალური დახმარების მსურველთა და საჭიროების მქონეთა რაოდენობას.

შშმ პირთა, შშმ პირთა მეურვეებისა და შშმ ბავშვთა მშობლების საჭიროებების გათვალისწინებით, შშმ პირთა ოჯახებს, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 24 000 ლარს, გავათავისუფლებთ საშემოსავლო გადასახადისგან.

მარტოხელა მშობლებისთვის სტატუსის მინიჭების პროცედურების გამარტივებასთან ერთად ბავშვზე ზრუნვის სერვისები ამუშავდება, რაც საშუალებას მისცემს მშობელს დასაქმდეს. განსაკუთრებით ვიზრუნებთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაქმებაზე.

უსახლკაროთა ქირით უზრუნველყოფის პროგრამა იქნება გრძელვადიანი და შედეგზე ორიენტირებული. იგი ეტაპობრივად ჩანაცვლდება პროგრამით „ჭერი ყველას“, რაც გულისხმობს ქირაში გადასახდელი თანხით წინასწარ მცირე ზომის საცხოვრებლებით უზრუნველყოფას.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

შევისწავლით და გადავხედავთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს, რომლებიც დაკმაყოფილება დროში გაწერილი გონივრული გეგმის მიხედვით, მათ შორის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

კანონმდებლობის დახვეწისა და გაუმჯობესების მიუხედავად, ხშირად მაინც ვერ ხერხდება ცალკეული დაუცველი ჯგუფების სრული ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე, ხშირია დისკრიმინაციის შემთხვევებიც. დისკრიმინაციის ფაქტებზე დაგვიანებით და არასათანადო რეაგირების გარდა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და წინასწარგანწყობების ფონზე, მეტისმეტად ნელია თანასწორობის მიღწევის პროცესი.

უმცირესობების უკეთ ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ამ პროცესში საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორისა და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს ჩართულობა და მათი კოორდინირებული მოქმედება.

სახელმწიფომ უნდა გაატაროს ქმედითი პრევენციული და პროაქტიული ზომები უმცირესობის ჯგუფების გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით. ასევე, სახელმწიფომ რეაგირება უნდა მოახდინოს, კანონის ფარგლებში, ულტრამემარჯვენე და რადიკალური ჯგუფების განცხადებებსა და ქმედებებზე, რაც შუღლს აღვივებს საზოგადოებაში უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. მნიშვნელოვანია ასევე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარება, როგორც ზოგადად მოსახლეობისთვის, ისე განსაკუთრებით სახელმწიფო და ძალოვანი უწყებების თანამშრომლებისთვის, რათა გაიზარდოს მათი ტოლერანტობა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. ამ პროცესში გადამწყვეტია არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა და ჩართულობა.

5. პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ პარტიულ სტრუქტურაში, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე, ქალები ფართოდ არიან წარმოდგენილი. ჩვენ მომხრე ვართ ქალთა თანამონაწილეობის გაზრდის საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი პოზიციია, ინსტიტუციურად უფრო გაძლიერდეს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. უნდა დაიხვეწოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმები, გაუმჯობესდეს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოში არსებული უწყებების/ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობა და თანამშრომლობა. ჩვენ ვგეგმავთ გავაფართოოთ გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებები საქართველოს მთელი მასშტაბით. მათში სახელმწიფო რესურსთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ რეგიონებში ისეთ თემებზე მსჯელობას, როგორცაა: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა, გენდერული კვოტირების საკითხები და ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა იმ სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც მხარს დაუჭერს მოსაზრებას - ბავშვებზე ყველანაირი ძალადობა მიუღებელია! კერძოდ, უნდა განისაზღვროს ბავშვთა უფლებების პუნქტები ყველა რელევანტურ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

ყველა შესაბამისმა სამინისტრომ/უწყებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ყველა დაინტერესებული მხარის როლი ბავშვთა დაცვის მექანიზმში, გაიწეროს დეტალური პროცედურები და სახელმძღვანელო მითითებები შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალებისთვის. ხელს შევუწყობთ და გავაძლიერებთ ბავშვთა დახმარების ხაზის უფასო 24-საათიან ფუნქციონირებასა და ქვეყნის მასშტაბით მის ხელმისაწვდომობას. ამით შესაძლებელი იქნება ოპერატიულად დახმარება გაეწიოს ყველა ბავშვს, რომლებსაც ზრუნვა ან დახმარება სჭირდებათ.

ახალი კორონავირუსის გლობალურმა პანდემიამ კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეუქმნა ბავშვთა ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა: განათლების უფლება, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისებით სარგებლობის უფლება, ადეკვატური საცხოვრებლის ქონის უფლება და სხვ.

უახლესი სტატისტიკითა და კვლევებით, 80 ათასამდე ბავშვს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა და მათ ვერ ისარგებლეს დისტანციური სწავლებით. ჩვენი მმართველობის პირობებში ეფექტიანად და მყისიერად დავაზუსტებთ თითოეული რაიონის, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის სკოლის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს ინტერნეტისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების გამოვლენას, განსაკუთრებით - პოსტპანდემიურ პირობებში. გასაძლიერებელია სკოლებსა და ბავშვთა აღმზრდელობით დაწესებულებებში ისეთი კადრები, როგორცაა: სკოლის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სამედიცინო მუშაკი და სხვ., რომლებსაც ევალებათ ყველაზე უფრო დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა. განსაკუთრებულად ვიზრუნებთ შშმ ბავშვებსა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ იზრუნებს, რომ ყველა ბავშვი, რომელთა მიმართაც არსებობს ძალადობის, ფიზიკური და სექსუალური ექსპლუატაციის, სასტიკი მოპყრობისა და უსამართლობის მომატებული რისკი, დაცული იყოს სოციალური სამსახურების მეშვეობით, როგორც ჰუმანიტარული კრიზისის დროს, ისე ნებისმიერ კონტექსტში.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ გეგმით, კულტურის ტრადიციულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე (თეატრი, მუსიკა, კინო და ა.შ.) ზრუნვასთან ერთად, განვახორციელებთ საერთაშორისო მნიშვნელობის ე.წ. მეგაპროექტებს. ისინი მოემსახურება მსოფლიოში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას და იქნება ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვის დამატებითი საშუალება:

1. საქართველო - ქვეყრის ღვინის სამშობლო. „თბილისობის“ დღესასწაულს გარდაქმნით მსოფლიო ღვინის ყოველწლიურ ფესტივალად. საელჩოებს უნდა დაევალოთ მოიწვიონ შესაბამისი ქვეყნის ლიდერები, დიდი სავაჭრო ქსელების მენეჯერები და მფლობელები უცხოეთიდან, სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები და ღვინის მწარმოებლები.
2. ყველაზე მასშტაბური საახალწლო ღონისძიება.
3. ფოლკლორული ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში საქართველო უმასპინძლებს მსოფლიო ხალხებს, ტომებს, ეთნოსებს. ფესტივალი გაიშლება მთელი ქვეყნის მასშტაბით.
4. ახალგაზრდული ფესტივალი - მუსიკა და ტექნოლოგიები. საქართველო უმასპინძლებს ამერიკისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების წარმატებულ სტუდენტებს. ქართველ სტუდენტებთან ერთად ჩატარდება გლობალური სამიტი ტექნოლოგიების მიმართულებით. პარალელურად, ახალგაზრდული სამიტის ფარგლებში გაიმართება მუსიკის ფესტივალი, ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით, რაც დამატებით მიზიდულობის ცენტრს შექმნის ახალგაზრდებისთვის.

ღონისძიებები განაწილდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ყველა ღონისძიება იქნება მძლავრი საშუალება ქართული კულტურისა და კულტურის მოღვაწეთა პოპულარიზაციისთვის მსოფლიო დონეზე.

შეიქმნება ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ორი ახალი მუზეუმი:

1. საქართველო - მსოფლიო ღვინის სანახი. გავაშენებთ ღვინის ქალაქს, სადაც ყველა ქვეყნისა და ტიპის ღვინო იქნება წარმოდგენილი.
2. მსოფლიო რანგის ეთნოკულტურული მუზეუმი - ინტერაქტიული მუზეუმი, სადაც მსოფლიო ხალხების კულტურა იქნება წარმოდგენილი. მინი მსოფლიო ერთ სივრცეში.

კულტურის მიმართულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ასევე კულტურული ძეგლების მოვლა/პატრონობა და აღდგენა საუკეთესო საერთაშორისო ტექნოლოგიების გამოყენებითა და ძეგლების ავთენტურობის სრული დაცვით.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ბოლო წლებში გარემოს დაბინძურების არაერთი შემთხვევის მომსწრე გავხდით. ამის მაგალითებია კომპანია RMG Gold-ის საქმიანობის შედეგად დაბინძურებული 21 სოფელი ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში ან აზბესტის შემცველი პროდუქციის (სამუხრუჭე ხუნდები, სამშენებლო მასალები) გამოყენება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ამ მხრივ საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. იგივე ეხება სამშენებლო სტანდარტებს, როდესაც სამშენებლო მტვერი აბინძურებს გარემოს და ზრდის კანცეროგენური დაავადებების განვითარების საფრთხეს.

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, ვგეგმავთ ენერჯეტიკის მიმართულებით გამჭვირვალე სისტემის შექმნას და განახლებადი ენერჯიების (მზე, ქარი, წყალი, გეოთერმული) გამოუმუშავებაზე გადასვლას, რაც მთლიანად მომხმარებელსა და მწვანე ენერჯის უსაფრთხო ათვისებაზეა ორიენტირებული.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ კიდევ ერთი პრიორიტეტია მწვანე საფრის განვითარება. შეიქმნება ქალაქებში მწვანე საფრის განვითარების სტრატეგია, მათ შორის ვერტიკალური და სახურავების გამწვანების ჩათვლით.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საგზაო უსაფრთხოებისთვის საჭირო მრავალსექტორული და კოორდინირებული ღონისძიებების გატარება. მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, „სტრატეგია აღმაშენებელი“ იზრუნებს საქართველოს საგზაო ქსელის ხარისხისა და უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე, რაც მოიცავს: მგზავრობის პირობების გაუმჯობესებას, მგზავრობის დროისა და ავტოტრანსპორტის საოპერაციო და საექსპლუატაციო ხარჯების შემცირებას, გზებზე უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას, შუქნიშნებისა და ავტომობილის ნაკადების მართვის სტრატეგიას. საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, განსაკუთრებით საქალაქო გზებზე, დაეფუძნება სანდო კვლევებს და საავტომობილო საშუალებების ნაკადების მართვის საუკეთესო გამოცდილებას. საგზაო უსაფრთხოების გეგმის შემუშავებისას აუცილებლად განისაზღვრება სამოქმედო გეგმის შეფასების ინდიკატორები, გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირები და უწყებები, განხორციელდება მიღებული გეგმების დეტალური მონიტორინგი. მნიშვნელოვანია საგზაო შემთხვევებზე მიმართული პრევენციული ღონისძიებების პროაქტიული დაგეგმვა/გატარება. მოსახლეობაში, ასევე სკოლებში საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქტიურად უნდა ჩაერთონ საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორი და სპეციალისტები. საგზაო უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგზაო შემთხვევის დადგომის შემდეგ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ამ მხრივ საჭიროა სხვადასხვა ინსტიტუციის (საგზაო სამსახურები, ჯანდაცვის სამინისტრო და სხვ.) კოორდინირებული მუშაობა და ერთობლივი დაგეგმვა, რომ გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დრო და ხარისხი მიესადაგოს საუკეთესო ევროპულ სტანდარტებს.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

„სტრატეგია აღმაშენებელი“ თვლის, რომ არასამთავრობო სექტორის გაძლიერება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის და, მეორე მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურების მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და ლეგიტიმურობის გაძლიერებისათვის. საქართველოს სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების სისტემა ფრაგმენტულია და გამოწვევად რჩება სახელმწიფო დაფინანსების გაუმჭვირვალე პრაქტიკა. უნდა შემუშავდეს არასამთავრობო სექტორისთვის

სახელმწიფო დაფინანსების ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია, დაფინანსების ისეთი პოლიტიკა და სტრატეგია, რომლის მიზანი იქნება სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობათა განვითარება. მოთხოვნილ უნდა იქნას უფრო გამჭვირვალე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, მათ შორის ე.წ. „დამკვირვებელი“ (watchdog) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ამავე დროს, შენარჩუნებულ უნდა იქნას სამოქალაქო სექტორის დამოუკიდებლობა, რათა ხელი არ შეეშალოს მათი მხრიდან მთავრობის ანგარიშვალდებულების მოთხოვნას. არასამთავრობო სექტორი არის მნიშვნელოვანი ბერკეტი, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მთელი რიგი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელების საქმეში, როგორცაა, მაგალითად, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები, სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი, უფლებების დაცვა, განსაკუთრებით, პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე, სპეციფიკური სერვისების განხორციელება მოწყვლადი ჯგუფებისთვის და სხვა.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები გამომდინარეობს ქვეყნის დეკლარირებული ეროვნული ღირებულებებიდან, როგორცაა თავისუფლება, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, უსაფრთხოება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და მშვიდობა.

ყველა ამ ღირებულების უზრუნველყოფისთვის ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესი და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია. ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის არსებითია ამ ორგანიზაციების წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურება.

ნატოსთან გარდა არსებული ინსტრუმენტების ეფექტიანი განხორციელებისა, ნატოში გაწევრიანების გზაზე განსაკუთრებით გავააქტიურებთ მუშაობას სხვადასხვა დონეზე ნატოს იმ წევრ ქვეყნებთან, რომლებიც გამოირჩევიან ნატოს გაფართოებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებით. ამ მიზნით ხელს შევუწყობთ ამ ქვეყნების და საქართველოს არასამთავრობო სექტორის და აკადემიური წრეების თანამშრომლობის ფორმატების ინიცირება/მხარდაჭერას.

გავაძლიერებთ პარტნიორულ ურთიერთობებს ბალტიის ქვეყნებთან, ვიშეგრადის ოთხეულთან და ნორდიკულ სახელმწიფოებთან, ისევე როგორც ნატოს წევრ შავი ზღვის ქვეყნებთან.

საქართველოს მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად აქტიურად დავიწყებთ ნატოში გაწევრიანების დაჩქარების ახალი გზების თუ ფორმების ძიებას.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესია პარტნიორებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება. ამ კუთხით გავაღრმავებთ აშშ-სთან

სტრატეგიულ პარტნიორობას როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო სფეროში. აქტიურად ვიმუშავებთ აშშ-სთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მისაღწევად.

ვიმუშავებთ დიდ ბრიტანეთთან და რუმინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხარისხში ურთიერთობების აყვანისთვის. აქტიურად ვიმუშავებთ ჩვენს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის.

საქართველოს, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებლის ფუნქციის გაზრდის მიზნით აქტიურად ვითანამშრომლებთ პარტნიორებთან სატრანსპორტო დერეფნის და საქართველოს, როგორც რეგიონული ცენტრის/ჰაბის ფუნქციის გასაზრდელად. ამავე კონტექსტში სტრატეგიულ დონეზე ავიყვანთ შავ ზღვაზე თანამშრომლობის საკითხს და ამ მიზნით რუმინეთთან სტრატეგიულ დონეზე ურთიერთობას.

გავზრდით საქართველოს მიმართ ევროკავშირის დაინტერესებას და საქართველოს ევროკავშირის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიერთებას. შესაბამისი მუშაობის შედეგად გავაკეთებთ ევროკავშირში წევრობის განაცხადს.

საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ამ მიზნის უზრუნველყოფისთვის შევიმუშავებთ მწყობრ სტრატეგიას საზოგადოების ფართო ჩართულობით და შევქმნით ეროვნულ კონსენსუსს ამ საკითხზე.

ქვეყნის დეოკუპაციისა და მცოცავი ოკუპაციის შესაჩერებლად მოვახდენთ ანტისაოკუპაციო სტრატეგიის შემუშავებას პარტნიორი ქვეყნების აქტიური ჩართულობით.

გავზრდით ქვეყნის ეროვნულ მედეგობას რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული ომის საპირისპიროდ. ვაწარმოებთ პროაქტიულ საგარეო პოლიტიკას საერთაშორისო დონეზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის მშვიდობიანი პოლიტიკის ფარგლებში.

2.რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

გავაღრმავებთ აშშ-სთან სტრატეგიულ პარტნიორობას როგორც პოლიტიკურ, ისე უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში და მოვხსნით დღის წესრიგიდან იმ წუხილს, რომელიც აშშ-ში გაჩნდა ქვეყანაში არსებული დემოკრატიის კონსოლიდაციასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად აშშ-ს მნიშვნელოვანი ჩართულობის ფონზე გავააქტიურებთ ჩვენს ძალისხმევას როგორც ნატო-ში გაწევრიანების, ისე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის და რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული და სხვა საფრთხეების გასაწეიტრალეზად. გავაგრძელებთ მუშაობას აშშ-სთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მისაღწევად.

აქტიურად ვიმუშავებთ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ალიანსის წამყვან ქვეყნებთან, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ დონეზე ურთიერთობების გასაპროექტებლად.

რეგიონული და შავი ზღვის უსაფრთხოების გამყარების მიზნით გავაღრმავებთ ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნებთან სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-ტექნიკურ პარტნიორობას. განსაკუთრებით გამოვყოფდით პოლონეთთან და რუმინეთთან ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას.

გადავდგამთ ეფექტიან ნაბიჯებს ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკის (CSDP) დღის წესრიგში საქართველოს საკითხის მნიშვნელობისა და ზოგადად აღნიშნულ პოლიტიკაში საქართველოს როლის გასაზრდელად. შევინარჩუნებთ და გავაღრმავებთ თურქეთთან არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას, ისევე როგორც თურქეთ-აზერბაიჯან-საქართველოს სამხრეთ ფორმატს.

განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ უკრაინასთან სტრატეგიული ურთიერთობის გაღრმავებას. აქტიურად ვიმუშავებთ დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობების სტრატეგიული პარტნიორობის ხარისხში აყვანის მიზნით.

გავაძლიერებთ პარტნიორულ ურთიერთობებს ბალტიის ქვეყნებთან, ვიშვერადის ოთხეულთან და ნორდიკულ სახელმწიფოებთან.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების რეალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, ფართოდ და სწრაფად გადავიყვანოთ ქართული ბიზნესი ევროკავშირის სტანდარტებზე, რათა მივიღოთ მაქსიმალური პრივილეგიები, კანონმდებლობის ჰარმონიზება და სექტორული განვითარება.

საქართველომ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA-ს შეთანხმება. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: გაიზარდოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის სტაბილურობა და ეფექტიანობა; უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემა; განხორციელდეს რეალური პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებული იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობა და უზრუნველყოს სამართალდამცავ ორგანოთა მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა; ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ; პირადი მონაცემების დაცვა; ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების განმტკიცება, ბაზრის ინტეგრაციის გაზრდა და ეტაპობრივად რეგულაციების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრეს ელემენტებთან.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველო, გარდა იმისა, რომ არის შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან სტრატეგიულ დისკუსიებში შავი ზღვის უსაფრთხოების ინიციატივაში, რომელიც ეფუძნება ნატოს ვარშავისა და ბრიუსელის სამიტების გადაწყვეტილებებს.

გავააქტიურებთ შავი ზღვის უსაფრთხოების ინიციატივაში ორმხრივ ფორმატებს შავი ზღვის ქვეყნებთან, ისევე როგორც ინიცირებას მოვახდენთ ახალი მრავალმხრივი ფორმატების საქართველო-რუმინეთი-უკრაინის და საქართველო-თურქეთი-უკრაინის მონაწილეობით. საქართველოს როლის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება ოფიციალურ ბრიუსელთან, ისევე როგორც ნატოს წევრი შავი ზღვის ქვეყნების დედაქალაქებთან.

უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად, ქვეყნის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია შავი ზღვის სატრანზიტო/სატრანსპორტო და საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერება და ეკონომიკური როლის ზრდა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად გავაღრმავებთ თანამშრომლობას ბულგარეთთან და სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე ავიყვანთ რუმინეთთან თანამშრომლობას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში:

ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია მშვიდობიანი, სტაბილური და განვითარებული სამხრეთი კავკასია. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად გავააქტიურებთ საქართველოს პოზიტიურ როლს კავკასიაში მშვიდობიანი, სტაბილური და თანამშრომლობითი გარემოს შექმნის პროცესში.

პროაქტიული საგარეო პოლიტიკის წარმოებით მოვახდენთ მეზობელ ქვეყნებთან პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობების უზრუნველყოფას.

საქართველოს აზერბაიჯანთან აკავშირებს სტრატეგიული პარტნიორობა. არსებული ფორმატების ფარგლებში უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკის, ელექტრონული კომუნიკაციების, სატრანზიტო და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება.

გავააქტიურებთ აზერბაიჯანთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შუა აზიიდან კასპიის ზღვა-შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფანში ტვირთების მოზიდვას, ისევე როგორც საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამხრეთი ფორმატს.

აქტიურად ვიმუშავებთ ასევე სომხეთთან არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებისა და სექტორული თანამშრომლობის განვითარებისთვის.

[ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა](#)

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული თანხმობის შექმნა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. რუსული ჰიბრიდული ომის სამიზნეა არა მხოლოდ მთავრობა, არამედ მთლიანად საზოგადოება. ამიტომ, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს ერთიან სამთავრობო მიდგომას და ხორციელდებოდეს კერძო და არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეების ჩართულობით.

დროულად განვაახლებთ ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებს, როგორცაა: საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, თავდაცვის ეროვნული სტრატეგია.

აღნიშნული დოკუმენტების განახლება, ისევე როგორც ინსტიტუციური და სამართლებრივი ცვლილებები, განხორციელდება ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესის შედეგად.

დღეს ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს კრიზისის დეფინიციას და განმარტებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტილებების შემუშავება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა როგორც სამართლებრივ, ისე ინსტიტუციურ დონეზე და მისი კოორდინაცია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა უნდა იყოს ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ადეკვატური და ითვალისწინებდეს დასავლეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას. კანონმდებლობაში 2018 წლიდან შეტანილი ცვლილებებით, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, ამოქმედდება ერთდროულად ორი სათათბირო საბჭო: ერთი პრემიერთან და მეორე პრეზიდენტთან, რაც არ ეფუძნება არც დასავლეთის საუკეთესო პრაქტიკას და არც თანამედროვე სახის უსაფრთხოების გამოწვევებს შეესაბამება. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას, როგორც მშვიდობიანობის, ისე საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, უნდა გეგმავდეს და კოორდინაციას უწევდეს ერთი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩავრთავთ კერძო და სამოქალაქო სექტორს. ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმისას დავიცავთ დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს.

ინიცირებას მოვახდენთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმის, რაც გულისხმობს ამ სამსახურის მიზანთან შეუსაბამო ანტიკორუფციული საქმიანობის სამსახურის მისი უწყებრივი სტრუქტურულიდან გატანას, უწყების დეპოლიტიზაციას, პარალელური საგამომიებო სისტემებისა და არასასურველი კონკურენციისა თუ უფლებამოსილებების გადამეტების კანონით რეგულირებას.

2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს სრულფასოვნად თავდაცვის ორგანიზაცია, მნიშვნელოვანია ქვეყანას ჰქონდეს ადეკვატური და დროში გაწერილი ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია ეროვნული თანხმობის საფუძველზე და უზრუნველყოფილია მათი განხორციელების განგრძობითობა.

2018 წლიდან გასახლებელია საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც უნდა შექმნილიყო სახელმწიფო თავდაცვის სფეროში მთავარი ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტი: ეროვნული თავდაცვის სტრატეგია და თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტი - საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა. ამ დოკუმენტიდან უნდა გამომდინარეობდეს თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვაც გრძელვადიანი პერსპექტივით.

მიუხედავად იმისა, რომ ტოტალური თავდაცვის პრინციპი 2006 წლიდან არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში და სამხედრო სარეზერვო სამსახური ამ პრინციპს ეფუძნება, დღემდე არ არსებობს დამტკიცებული ტოტალური თავდაცვის კონცეფცია. ზემოხსენებული დოკუმენტებისა და ტოტალური თავდაცვის კონცეფციის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია სამხედრო სავალდებულო სამსახურის, ისევე როგორც რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის რეფორმირება.

მას შემდეგ, რაც ადეკვატურად შეფასდება სამხედრო საფრთხეებთან მიმართებით ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობები და საჭიროებები, გამოიკვეთება შესაბამისი მიზნები და ამოცანები ეროვნულ დონეზე, შემდგომი ნაბიჯი იქნება თავდაცვის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი სახის ცვლილებების ინიცირება; ისევე როგორც ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვითი მიზნებისთვის მომზადება, თანამედროვე სამხედრო შეიარაღებისა და საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა, სამხედრო განათლების ეფექტიანი სისტემა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, ნატოსა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად უმნიშვნელოვანესია თავდაცვის სფეროში მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-სთან თავდაცვის სფეროში მიმდინარე და სამომავლო ერთობლივ პროექტებს, ისევე როგორც სხვა პარტნიორ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებას.

თავდაცვის ორგანიზაციის პროცესში განვახორციელებთ დემოკრატიულ კონტროლს და უზრუნველყოფთ საჯაროობას, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც ქართული დემოკრატიისთვის, ისე ქვეყნის ნატოში გაწევრიანების პროცესის შეუქცევადობისთვის.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

ამ მიზნის უზრუნველყოფისთვის:

- შევიმუშავებთ დეოკუპაციის გრძელვადიან პოლიტიკას და სტრატეგიას.
- შევიმუშავებთ რუსეთის ჰიბრიდული ომის ტაქტიკაზე საპასუხო ქმედით სტრატეგიას, ისევე როგორც ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით დავიწყებთ ეროვნული მედეგობის ამალგებისკენ კონკრეტული ზომების გატარებას.
- გავაგრძელებთ არაღიარების პოლიტიკას.
- ჩვენს პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით გავზრდით ქენევის ფორმატის ეფექტიანობას.
- ხელს შევუწყობთ ნდობის აღდგენას და სახალხო დიპლომატიას.
- გავაძლიერებთ ქვეყნის ეკონომიკას, რათა საქართველო მიმზიდველი გახდეს მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის.
- უპირობოდ შევთავაზებთ წარმატებულ კონკრეტულ პროექტებს ოკუპირებულ რეგიონებს.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

რუსული აგრესიული პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა „მცოცავი ოკუპაცია“, უკანონო ბორდერიზაცია და, აქედან გამომდინარე, საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის გატაცების, უკანონო პატიმრობის, წამებისა და მკვლელობის ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მხრიდან ეს ყოველივე შეფასდა როგორც ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი, დღემდე არ შექმნილა შესაბამისი ანტიანექსიური/ანტისაოკუპაციო სტრატეგია, არ ამოქმედებულა ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სია, არასასურველ დონეზეა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გააქტიურება.

მცოცავი ოკუპაციისგან ქვეყნის უკეთ დასაცავად შემდეგი ნაბიჯების ინიცირებას ვგეგმავთ:

- დავიწყებთ ანტისაოკუპაციო და ანტიანექსიური სტრატეგიის შემუშავებას, სადაც მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ ფართო საზოგადოების და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობას და ამ გზით შევქმნით ზოგად კონსენსუსს მცოცავი ოკუპაციის საწინააღმდეგო ნაბიჯების შესახებ.
- გავააქტიურებთ საერთაშორისო ძალისხმევას ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმატის გამოყენებით.
- ავამუშავებთ ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიას.
- საოკუპაციო გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდისა და საოკუპაციო რეჟიმის მიერ მათი შეზღუდული უფლებების აღდგენის მიზნით შევიმუშავებთ ინიციატივას, რათა გაიზარდოს შსს-ს მანდატი და ეფექტიანობა, რაც გულისხმობს ოკუპაციის ხაზის მონიტორინგის გახშირებას, სათვალთვალო კამერების

დამონტაჟებასა და სხვა ინიციატივებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება ანტისაოკუპაციო სტრატეგიასთან.

- იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მედეგობა, შევიმუშავებთ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზე ორიენტირებულ და გამიზნულ საგანგებო პოლიტიკას - სპეციალური სოციალური პროექტების, სპეციალური ფონდის და/ან „ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების განვითარების კანონის“ შექმნის სახით (ან შესაბამისი ცვლილებებით კანონში „ოკუპაციის შესახებ“) - რომელიც მიმართული იქნება ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.
- ანტიანექსიური/ანტისაოკუპაციო სტრატეგიის შესაბამისად შევიმუშავებთ სტრატეგიულ კომუნიკაციას ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის.
- გავააქტიურებთ ძალისხმევას ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის სრული ამოქმედებისთვის.